გრამატიკის აპოლოგია

ავტორი: **მაია მენაბდე**

„სასვენი ნიშნები არიან შეშლილნი,

მოჰგვანან უეცრად დაბნეულ მძივებს,

მძიმე არასდროს არ არის წერტილი,

წერტილის დასმა კი ყოფილა მძიმე“.

ვახუშტი კოტეტიშვილი

ბავშვებს ერთნაირად არ უყვართ გრამატიკა და ლექსები.

ზუსტად არ მახსოვს, მე როდის და რატომ შემიყვარდა პოეზია.

ჩვენი სახლი სავსე იყო ლექსთა ნაირ-ნაირი კრებულებით. რიგრიგობით ვიღებდი თაროებიდან, ვკითხულობდი და ვიყვარებდი ჩვენი სახლის ბინადარ პოეტებს.

ვერც ერთ საპროგრამო ლექსს ვერ ვამბობდი უშეცდომოდ, სამაგიეროდ, ვსწავლობდი უამრავ არასაპროგრამო ლექსს და ჩემთვის, მარტო, ვკითხულობდი ხოლმე ზეპირად.

არც ის მახსოვს, როდის შევწყვიტე ლექსების სწავლა ან რომელი ლექსი ვისწავლე ბოლოს, არ მიცდია გახსენება.

ახლა აღარ ვსწავლობ ლექსებს, მაგრამ სულ ვკითხულობ.

არც გრამატიკის შეყვარების ამბავი მახსენდება, მაგრამ მახსოვს, რომ ვერასოდეს ვიზეპირებდი წესებს საყოველთაო ზეპირობის ხანაში. არაჩვეულებრივად მიხსნიდა ჩემი მასწავლებელი და ყოველთვის მეხალისებოდა გრამატიკის სავარჯიშოების წერა.

ჩემს მოსწავლეებთან გრამატიკაზე საუბარს იმის აღნიშვნით ვიწყებ, რომ მშობლიური ენის გრამატიკის 90%-ის ცოდნა თანდაყოლილია და მე მხოლოდ 10% უნდა ვასწავლო. ეს ამბავი ახალისებთ. ყველა ჩემმა მოსწავლემ იცის მარტივი ფორმულა: *გრამატიკა = გამართულ წერა-კითხვა-ლაპარაკს*. სულ ვეუბნები, რომ გრამატიკა სწორედ ეს არის და არაფერი სხვა.

©განათლების e-სახლი

გრამატიკა რომ მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოეზიის შექმნაში, ამაზე ბევრჯერ დაწერილა.

მე მინდა, იმაზე დავწერო, როგორ შეიძლება, პოეზია დაეხმაროს გრამატიკას.

ეს აზრი ჩემი მეგობრის ლექსმა შთამაგონა. ბევრი ფილოსოფია არ სჭირდება, პირდაპირ ასე ჰქვია – „სავარჯიშო (მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება)“:

„ ის კაცი ფანჯრიდან გადმოხტა.

იმ კაცმა ფანჯრიდან გადმოხტომამდე

ჩვეულებრივზე დიდხანს ფურცლა

საკუთარი ფიქრის დავთრები.

იმ კაცს ფანჯრიდან გადმოხტომამდე

არ დავიწყებია დილის საუზმე,

საუზმის წინ და საუზმის შემდეგ

კბილების გამოხეხვა,

თმის დავარცხნა

და ათასი აუცილებელი

მსხვილი წვრილმანი.

იმ კაცის ფეხსაცმლიდან

ფანჯრიდან გადმოხტომის შემდეგ

გამოძვრა კოჭლი, მოხუცი ჯუჯა,

მოაგროვა იმ კაცში შემავალი და

©განათლების e-სახლი

იმ კაციდან გამომავალი გზები,

თავისზე ჰატარა გუდაში ჩააწყო

და სანამ თვალს მიეფარებოდა,

მშვიდად თქვა, რომ

იმ კაცით, ისევე, როგორც სხვაკაცებით,

არასოდეს არაფერი დამთავრდება.

იმ კაცად ქცეული ჰატარა სამყაროს მიმართება

დიდ სამყაროსთან

ფანჯრიდან გადმოხტომის შემდეგ

მიმატებისა თუ გამოკლების მეთოდით

თავიდან ბოლომდე შეიცვალა, დაიშალა

და სხვა მიმართებაში გადავიდა.

კაცო, ფანჯრიდან გადმოხტომის შემდეგ

აბსურდული გახდა შენი წოდებითი

და ვეღარასოდეს გაგრძელდები".

|ნათია ნაცვლიშვილი|

რა თქმა უნდა, მხოლოდ მაღალი კლასებისთვის გამოდგება ეს ლექსი და არა მარტო მსაზღვრელ-საზღვრულის გახსენებისას, არამედ ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნებისასაც ძალიან საინტერესო მასალაა, შესაბამის სავარჯიშოს ან სქემასაც თუ შეუდგენთ.

©განათლების e-სახლი

ამ ლექსით დანახული გრამატიკული საკითხები იმდენად საინტერესო აღმოჩნდა ბავშვებისთვის, რომ გადავაწყვიტე, სხვა თემებთან დაკავშირებითაც მომეშველიებინა პოეზია.

ყველაფერი, რაც ქართულ ზმნას უკავშირდება, რთულია. მათ შორის – სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნებიც. როგორც ახსნისას, ისე უკვე ახსნილისა და შესწავლილის შესამოწმებლად გამოდგება მორის ფოცხიშვილის ლექსი:

„ სიცოცხლის ხე ისევ ისხვლება,

ბედს უნდა, ერთმანეთს გაგვყაროს, _

მე ვხმები,

შენ ხმები,

ის ხმება

და მაინც ყვავილობს სამყარო.

ხმელი ტოტებივით ვიმსხვრევით,

ვიწვით და ღუღუნებს კერია, _

მე ვმღერი,

შენ მღერი,

ის მღერის...

თურმე ნაკვერჩხლები მღერიან.

მღერიან... სიმღერით მკვიდრდება

©განათლების e-სახლი

სული და ვიშუშებთ იარებს, _

მქუხარე მსოფლიო მშვიდდება.

და მაინც მსოფლიო ღრიალებს

და მყარი ოცნების ქვიტკირი

ირღვევა... დუღაბი მწირია...

მე ვტირი,

შენ ტირი,

ის ტირის...

თურმე ტრომბონები ტირიან.

ცივდება ვულკანურ ნოტების

ლავა და... მაესტრო ისჯება...

ფესვებით, ტოტებით, ყლორტებით

მე ვრჩები,

შენ რჩები,

ის რჩება...

და როგორც მშიერი ობობა,

ცა იცდის... დიდია ცის ძალა, _

©განათლების e-სახლი

ვიღაცა იცდიდეს ოღონდაც,

მე წავალ,

შენ წახვალ,

ის წავა!

ჩვენ წავალთ... ვარსკვლავებს გავცდებით,

თუმც წასვლა ძალიან ძნელია, _

მე მელის,

შენ გელის,

მას ელის

დიდი გზა... ღმერთები გველიან!“

ასევე ძალიან სახალისო იქნება ბავშვებისთვის, თუ ავირჩევთ ნებისმიერ ექსპრესიულ ლექსს, სასვენ ნიშნებს გავაქრობთ და მათ ხელახლა გაჩენას მოსწავლეებს დავავალებთ. თან ვთხოვთ, გვერდით მოკლედ მიუწერონ, პუნქტუაციის რომელი წესით იხელმძღვანელეს. მაგალითად, მურმან ლებანიძის ლექსი „შეჩერდი, მოასწარ!“

„გვიმრები, ძეწნები, ძეძვები ჩახლართული,

გზა უხვევს, ანაზდად შეხედე – საოცრება:

პატარა ხეობაში პატარა ნაკადული

პატრა წისქვილის

©განათლების e-სახლი

ლაჯებში გამოძვრება.

შეჩერდი! აქ ჩვენი ბავშვობის ბუდეა!

დგას ჯუჯა წისქვილი, როგორც ჩაფიქრება!

არ ვიცი, არ ვიცი, კარგი თუ ცუდია,

დრო რომ დადგება და ეგ რომ არ იქნება!

შეხედე საბრალოს, სალჰობად ჰყუდია!

არ ბრუნავს დოლაბი, სიმინდი არ იფქვება!

ვერ გეტყვი, ვერ გეტყვი, კარგი თუ ცუდია, –

ჩვენ რომ ვიქნებით და

ეგ რომ არ იქნება!

მაგის ძველ დიდებას ჭალას ჩაუვლია,

საცაა ჩაიჩოქებს, თავხელში წამოწვება...

შეჩერდი, მოასწარ, – დანაშაულია

მაგისი ყურების

არმოსწრება!“

©განათლების e-სახლი

მერე იყო და ინტერნეტში შემთხვევით გადავაწყდი საბავშვო ლექსს სასვენ ნიშნებზე, რომელიც IV, V, VI კლასებში გამოდგება. სხვა სავარჯიშოებთან ერთად, სადაც სასვენ ნიშნებს დასვამენ ბავშვები, კარგი იქნება, თუ ამ ლექსსაც დავურიგებთ და დავავალებთ, ლექსის მიხედვით შეადგინონ და ჩამოწერონ წესები მაგალითებითურთ. თუმცა მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ ლექსში მოხსენიებულ წესთაგან ერთ-ერთი შეიცვალა, სახელდობრ, თანდებულების გამოყოფა („თანდებულებიც გამოვყავ“) და ახლა სხვა წესი მოქმედებს.

„კარგი იქნება, ისწავლოთ

თხზულების სწორად დაწერა,

უნდა იცოდეთ უთუოდ

სასვენი ნიშნების მართლწერა.

მძიმემ თქვა: მძიმედ მოვდივარ,

ხშირად სიტყვებსაც ვიხსენებ,

ერთნაირ წევრებს გამოვყოფ,

თითოეულთან ვისვენებ.

გვიხმობს ძახილის ნიშანი,

შვეული ხაზი წერტილით,

არდასრულებულ სათქმელს კი

დაუსვი მრავალწერტილი.

და თუ სხვის ნათქვამს გვიამბობ,

სხვისი სახელ და გვარებით,

ორივე მხრიდან დახატე

ქვემოთ და ზემოთ ბრჭყალები.

©განათლების e-სახლი

ტყუპი სიტყვები გავყავი,

ჩავუსკუპდი და ვატირე,

თანდებულებიც გამოვყავ,

ჩვენთან ბაქიობს სულ ტირე.

ორი წერტილი სიტყვასთან

თვის საამბობელს გამოთვლის,

ყველაფერს ჩაგიკაკალებს

და მეგობრებსაც ჩამოთვლის.

რომ არ იცოდა მართლწერა, –

კითხულობს კითხვის ნიშანი, –

ბექამ იმიტომ მიიღო

წერაში ცუდი ნიშანი?

– მე თავში ვდგავარ, სულ ცალკე,

და ვერ ვიქნები ვერვისი,

დიალოგებში მომიხმე, –

გვკარნახობს ტირე–დეფისი.

ბოლოს წერტილიც გამოჩნდა,

დაიმსახურა მან ნდობა,

ათასი რამე გვიამბო

და დაასრულა მოთხრობა.

©განათლების e-სახლი

|მანანა ტონია|

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ „გრამატიკულ პოეზიას“ ორი რამ უნდა ახლდეს თან:

1) შესაბამისი სქემები და სავარჯიშოები, რომლებიც ლექსში ფოკუსირებულ მასალას იქნება მორგებული

და

2) ლექსი, უპირველეს ყოვლისა, მაინც ლექსია, ესთეტიკური ტკბობისა და დაფიქრების საშუალება (რა თქმა უნდა, სასვენი ნიშნების ლექსის გარდა), და მერე – სხვა დანარჩენი. აუცილებლად უნდა დავუთმოთ დრო ლექსის გააზრებასა და გათავისებას. მაგალითად, ლექსზე გრამატიკული დაკვირვების შემდეგ შეგვიძლია, მოსწავლეებს დავაწერინოთ მხატვრული ესე, რომელიც აზრობრივად დაუკავშირდება ლექსის იდეას.

მართალია, უშუალოდ გრამატიკას კი არა, არამედ ლექსიკას ეხება, მაგრამ მართლწერისა და მართლმეტყველების განუყოფელი ნაწილია ბარბარიზმები. ჰოდა, ბარბარიზმები რომ ვისწავლეთ, ნიკო გომელაურის ლექსზე ძალიან იხალისეს, ჯერ ბარბარიზმებს ქართული სიტყვები შეუსაბამეს, მერე ინგლისურიდან შემოსული ბარბარიზმებისგანაც სცადეს მსგავსი ლექსის შექმნა:

„საროჩკა“, „ნასკი“, „კრაოტი“, „პოლი“ –

მართლაც რომ ქართველს არა ჰყავს ტოლი.

„კუხნა“, „ბალკონი“, „ზალა“, „პადვალი“,

– მითხარით ენა ამის ბადალი.

„პესოკი“, „სუმკა“, „ტუფლი“, „იუბკა“.

„რომელი გოდა ხარ?“ – „თხუთმეტი სუტკა“.

„მოვპარე სპიჩკა – მაქვს ეს პრივიჩკა“.

©განათლების e-სახლი

„ლამპოჩკა“, „ჩაინიკი“, „კრაოტი“, „სტოლი“ –

ამბიცია ულევია, ინტელექტი – ნოლი.

„შოფერი“, „მატორი“, „პაკრიშკა“, „ლიჟები“.

საბა და ილია – „იმენა“ გიჟები“.

მგონია, რომ ასე ნელ-ნელა, ხალისით და დაკვირვებით, მხოლოდ გრამატიკის კი არა, პოეზიის სამყაროსაც უშინაურდებიან და გული მომეცემა ხოლმე. იშვიათად, როცა შევამჩნევ, რომ „გრამატიკული პოეზიით“ რომელიმეს გულის სიმებს შევეხე და მოეწონათ ის, რასაც აკეთებენ, მაშინვე ჩემი საყვარელი სტრიქონები ამომიტივტივდება გონებაში ფორუყ ფაროხზადეს ერთ-ერთი ლექსიდან:

„მე იმ მოწაფესავით მარტო ვარ,

რომელსაც გიჟივით უყვარს თავისი გეომეტრიის გაკვეთილი“,

– ოღონდ მინდება, სიტყვა „გეომეტრია“ „გრამატიკით“ შევცვალო.

©განათლების e-სახლი